THE IDEA OF A UNITED CAUCASUS IN GEORGIAN POLITICAL THINKING AFTER THE ABKHAZIA WAR

ერთიანი კავკასიის იდეა ქართულ პოლიტიკურ აზროვნებაში აფხაზეთის ომიდან აგვისტოს ომამდე

GIORGI GAPRINDASHVILI
PhD student in History of Tbilisi State University
Tbilisi, Ilia Chavchavadze ave #1. Georgia
+995598959080, giorgi.gaprindashvili.95@gmail.com
https://orcid.org/0009-0003-7335-3704

Abstract. In 1991, four sovereign states emerged in the Caucasus: Georgia, Armenia, Azerbaijan and Chechnya. In addition, the Ingush and Circassians aspired to independence.

Immediately after the declaration of independence by Georgia and Chechnya, the process of rapprochement between their presidents Zviad Gamsakhurdia and Dzhokhar Dudayev began. The main reason for integration was the ideas of a united Caucasus.

At that time, the agenda included the Grozny-Tbilisi highway and the Grozny-Pot oil pipeline projects, as well as the issue of creating a multi-ethnic peacekeeping military unit of the Caucasus, etc. In a word, mutual integration processes of the Caucasian states have begun.

In parallel with all this, the Russian state faced the task of which consisted in the official Moscow maintaining control over the Caucasus. For this, it was necessary to create foci of conflict between the Caucasian nations In order for Russia to rule this region on the principle of "disconnect and conquer."

Obviously, the attempt to implement the idea of a united Caucasus in any form should be stopped. To achieve this goal, the ethnic majority living in Georgia could be very fruitful and involvement of other Caucasian ethnic groups in this conflict. And so it happened: in the summer of 1992, the war in Abkhazia started with the organization of the Russian special services.

In the war of Abkhazia, in the face of the armed units of Georgia, along with the Russian regular army and special-purpose units, Abkhazian and several other Caucasian band formations were represented. At the same time, the Russian-Abkhazian side was helped by the "Confederation of Mountainous Peoples of the Caucasus" created by the structures of the Soviet state in 1991.

The war ended with the defeat of the Georgian side and the ethnic cleansing of the Georgian-speaking population of Abkhazia. This circumstance should have caused the destruction of the idea of a unified Caucasus in the Georgian society. However, despite all this, as our research has shown, this has not happened. The reason for this was that the progressive forces understood from the beginning what the war in Abkhazia was and who was managing these processes.

Key words: War in Abkhazia; Georgi; Chechnya; united Caucasus; Eduard Shevardnadze;

გიორგი გაფრინდაშვილი
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ისტორიის სადოქტორო პროგრამის დოქტორანტი
თბილისი, ილია ჭავაჭავაძის გამზ #1, საქართველო
+995598959080, giorgi.gaprindashvili.95@gmail.com
https://orcid.org/0009-0003-7335-3704

აბსტრაქტი. 1991 წელს კავკასიაში წარმოიქმნა ოთხი სუვერენული სახელმწიფო: საქართველო, სომხეთი, აზერბაიჯანი და ჩეჩნეთი. გარდა ამისა, დამოუკიდებლობისკენ მისწრაფება ჰქონდათ ინგუშებს და ჩერქეზებს. საქართველოს და ჩეჩნეთის მიერ დამოუკიდებლობის გამოცხადებისთანავე დაიწყო მათი პრეზიდენტების ზვიად გამსახურდიასა და ჯოხარ დუდაევის დაახლოების პროცესი. ინტეგრაციის მთავარ მიზეზს წარმოადგენდა ერთიანი კავკასიის იდეები. ამ დროს დღის წესრიგში დაისვა გროზნო-თბილისის ავტომაგისტრალისა და გროზნო-ფოთის ნავთობსადენის პროექტები, ასევე კავკასიის მრავალეთნიკური სამშვიდობო სამხედრო შენაერთის შექმნის საკითხი და სხვ. ერთი სიტყვით, დაიწყო კავკასიური სახელმწიფოების ურთიერთ-ინტეგრაციის პროცესები. ამ ყველაფრის პარალელურად რუსული სპეცსამსახურების წინაშე ისმებოდა ამოცანა, რომელიც მდგომარეობდა იმაში, რომ ოფიციალურ მოსკოვს შეენარჩუნებინა კონტროლი კავკასიაზე. ამისთვის კი საჭირო იყო გაჩენილიყო დაპირისპირების კერები კავკასიელ ერებს შორის, რათა რუსეთს ემართა ეს რეგიონი პრინციპით ,,გათიშე და იბატონე.“ ცხადია უნდა მოშთობილიყო ერთიანი კავკასიის იდეის ნებისმიერი ფორმით განხორციელების მცდელობა. ამ მიზნის მისაღწევად მეტად ნაყოფიერი შეიძლებოდა ყოფილიყო საქართველოში მცხოვრებ ეთნიკურ უმრავლესობასა და უმცირესობას შორის ომის პროვოციერება და მასში სხვა კავკასიელი ეთნოსების ჩაბმა. ასეც მოხდა: 1992 წლის ზაფხულში რუსული სპეცსამსახურების ორგანიზებით აფხაზეთში ომი დაიწყო.

აფხაზეთის ომში საქართველოს შეიარაღებული შენაერთების პირისპირ რუსული რეგულარული არმიისა და სპეციალური დანიშნულების დანაყოფებთან ერთად წარმოდგენილი იყვნენ ერთი მხრივ აფხაზური და რამდენიმე სხვა კავკასიური რეგიონიდან გადმოსული ბანდფორმირებები, ხოლო მეორე მხრივ, საქართველოს წინააღმდეგ წარმოებული ინფორმაციული ომის შედეგად შეცდეომაში შეყვანილი ადამიანები, რომელთა ნაწილმა ომის დამთავრების შემდეგ გულწრფელად მოინანია თავისი შეცდომა. ამასთანავე რუსულ-აფხაზურ მხარეს ეხმარებოდა 1991 წელს, საბჭოთა უშიშროების მიერ შექმნილი ,,კავკასიის მთიელ ხალხთა კონფედერაცია.“ ომი ქართული მხარის დამარცხებით და აფხაზეთის ქართულენოვანი მოსახლეობის ეთნიკური წმენდით დასრულდა. ამ მოცემულობას ერთი შეხედვით ერთიანი კავკასიის იდეის განადგურება უნდა გამოეწვია ქართულ საზოგადოებაში. თუმცა, მიხედავად ამ ყველაფრისა, როგორც ჩვენმა ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა ეს მთლად ასე არ მომხდარა. ამის მიზეზი ის იყო, რომ პროგრესული ძალები თავიდანვე აცნობიერებდნენ თუ რა იყო აფხაზეთის ომი და ვინ მართავდა ამ პროცესებს.

საკვანძო სიტყვები: აფხაზეთის ომი; საქართველო; ჩეჩნეთი; ერთიანი კავკასია; ედუარდ შევარდნაძე.

შესავალი. გასული საუკუნის 80-იანი წლების მეორე ნახევრისთვის საბჭოთა კავშირის მიერ წარმოებული ავღანური ავანტიურის კრახის გარდაუვალობა ნათელი გახდა. ამ

ავანტიურის შედეგად განადგურებული სოციალისტური ეკონომიკა კი სსრკ-ს დაშლას რეალურს ხდიდა. აქედან გამომდინარე მმართველი რგოლის ჩანაფიქრი მდგომარეობდა იმაში, რომ კავკასიის რეგიონში შექმნილიყო დაპირისპირების კერები, რათა იმპერიის დაშლის შემთხვევაში რუსეთს შეენარჩუნებინა კონტროლი კავკასიაზე ,,გათიშე და იბატონეს" პრინციპით. საბჭოთა გენერალიტეტის ამ ჩანაფიქრის აღსრულების მატრიცის განხორციელება საკმაოდ რთული და ტრაგიკული აღმოჩნდა კავკასიელებისთვის. საბჭოთა ხელისუფლებამ გეგმის სისრულეში მოყვანა დაიწყო ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის პერიოდში.

ჩვენი აზრით, კრემლის მეთაურთა ჩანაფიქრის აღსრულების ქრონოლოგიურ მატრიცაზე პირველ ადგილს იკავებს უბინძურესი დეზინფორმაციები, რომელიც სავარაუდოთ ვრცელდებოდა საბჭოთა სტრუქტურების მიერ, ჯერ კიდევ 1980-იანი წლების ბოლოდან. ეს განსაკუთრებით შესამჩნევი იყო საბჭოთა კავშირის რღვევის თანადროულად.

ამასთანავე, კრემლის წინაშე ისახებოდა კავკასიელი ერების ერთმანეთზე გადაკიდების ახალი ამოცანა. ამ იდეის განხორციელებისთვის კი მეტად ნაყოფიერი შეიძლებოდა ყოფილიყო საქართველოში მცხოვრებ ეთნიკურ უმრავლესობასა და უმცირესობას შორის ომის პროვოციერება და მასში სხვა კავკასიელი ეთნოსების ჩაბმა. ასეც მოხდა: 1992 წლის ზაფხულში კრემლის სცენარით აფხაზეთში ომი დაიწყო.

აფხაზეთის ომში საქართველოს შეიარაღებული შენაერთების პირისპირ აფხაზ ბანდფორმირებებთან ერთად წარმოდგენილი იყვნენ რუსული რეგულარული არმიისა და სპეციალური დანიშნულების დანაყოფები. ამასთანავე რუსულ-აფხაზურ მხარეს ეხმარებოდა 1991 წელს, საბჭოთა უშიშროების მიერ შექმნილი ,,კავკასიის მთიელ ხალხთა კონფედერაცია," სომხური ბაგრამის ბატალიონი, ასევე ადიღელების, ჩერქეზების და ოსების მცირე დანაყოფები. ობიექტურობის გამო უნდა ითქვას, რომ მათგან გარკვეული ნაწილი იყო ქართველი ერის წინააღმდეგ წარმოებული ინფორმაციული ომის შედეგად შეცდეომაში შეყვანილები, რომელთაგან ზოგმა ომის დამთავრების შემდეგ გულწრფელად მოინანია თავისი შეცდომა. ქართულ მხარეს ეხმარებოდა ერთადერთი უცხოური, არაკავკასიური - უკრაინული ,,არგოს" ბატალიონი. ომი ქართული მხარის დამარცხებით და აფხაზეთის ქართულენოვანი მოსახლეობის ეთნიკური წმენდით დასრულდა. ეთნიკურ წმენდაში მონაწილეობდნენ არამარტო რუსები და აფხაზები, არამედ სხვა კავკასიური ბანდფორმირებებიც. ამ მოცემულობას ერთი შეხედვით ერთიანი კავკასიის იდეის განადგურება უნდა გამოეწვია. თუმცა, როგორც მოგვიანებით განვითარებულმა მოვლენებმა წარმოაჩინა, ეს მთლად ასე არ მომხდარა. ჩვენი კვლევის ობიექტია ქართული საზოგადოების მხრიდან კავკასიური ინტეგრაციისაკენ გადადგმული ნაბიჯების შესწავლა აფხაზეთის ომის დასრულებიდან აგვისტოს ომამდე.

ერთიანი კავკასიის იდეა ქართულ პოლიტიკურ აზროვნებაში ჯერ კიდევ ლეონტი მროველიდან მოყოლებული იღებს სათავეს. საკითხის გარშემო დღევანდელი მდგომარეობით შექმნილია სამეცნიერო ლიტერატურა, თუმცა მკვლევარები უფრო მეტად ინტერესდებიან 1917-1921 წლების და ქართული ემიგრაციის პერიოდის პოლიტიკური ელიტის მისწრაფებებით კავკასიურ ერთიანობასთან მიმართებაში. შესაბამისად აქამდე ამ საკითხის გარშემო იშვიათად თუ შეხვდებოდით ისეთ ნაშრომებს, რომელიც ეხება აფხაზეთის ომის შემდგომ განვითარებულ მოვლენებს.

მეთოდოლოგია. გამომდინარე იქედან, რომ კვლევის ამ ეტაპისთვის სამეცნიერო ლიტერატურა არც ისე დიდია და ჩვენც მეტწილად ემპირიული მეთოდოლოგიით შემოვიფარგლეთ, ნაშრომში არ გვქონია თითოეული ფაქტის დეტალური ანალიზის

მცდელობა. თუმცა, გარკვეულწილად მაინცაა გამოთქმულია საკუთარი შეფასებითი მოსაზრებები. ამასთანავე წარმოდგენილი გვაქვს გარკვეული სამეცნიერო სიახლე.

შედეგები და მსჯელობა

XX საუკუნის 80-იანი წლების მეორე ნახევრიდან საქართველოში და მთლიანად კავკასიაში ძალას იკრებდა ეროვნული მოძრაობები. ოკუპირებული ერების მიერ თავისუფლებისადმი მისწრაფების პარალელურად გორბაჩოვის რეჟიმი შეეცადა, სახელი გაეტეხა ქართული ეროვნული ძალებისათვის როგორც დასავლური სამყაროს, ისე კავკასიის მეზობელი ხალხების თვალში. საამისოდ, ვრცელდებოდა დეზინფორმაცია ზვიად გამსახურდიასა და სხვა ეროვნული ლიდერების შესახებ. ხოლო როცა აფხაზეთში 1989 წლის 15-16 ივლისს პროვოცირებული სისხლიანი შეტაკებების შემდეგ რეჟიმი დარწმუნდა, რომ ქართველი ერი ამ პროვოკაციამ უფრო შეაკავშირა ეროვნული ლიდერების გარშემო, მან 10 დღის შემდეგ ქალაქ სოხუმში ჩაატარებინა „კავკასიის მთიელ ხალხთა პირველი ყრილობა," რაც რეალურად ჩრდილოეთ კავკასიაში მცხოვრებ აგენტთა და შეცდომაში შეყვანილთა თავყრილობა იყო. ყრილობამ იმჯერად უპირატეს საქმედ კულტურულ-საგანმანათლებლო პრობლემები წამოსწია წინ, მაგრამ მალე წარმოჩნდა, რომ ასამბლეა მიზნად სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისაკენ მებრძოლი საქართველოსა და აზერბაიჯანის შესაზღუდად შეიქმნა (გვანცელაძე, 2019: 20).

„ასამბლეას" მალე ეწოდა „კავკასიის მთიელ ხალხთა კონფედერაცია" და გადაიქცა მილიტარიზებულ ორგანიზაციად. „კონფედერაციამ" თავის საბოლოო მიზნად კავკასიაში მცხოვრებ მთიელ ხალხთა სრული დამოუკიდებლობა და ახალი სახელმწიფოს შექმნა გამოაცხადა, რომლის დედაქალაქად სოხუმს ვარაუდობდნენ (გვანცელაძე, 2019: 21).

ცხადზე უცხადესია, რომ ეს კონფედერაცია, რომელიც ვითომდა უნდა ყოფილიყო ერთიანი კავკასიის იდეის რეალიზებული ფორმა, იყო კავკასიური იდეის ფსევდო გამოვლინება და ამავე დროს იმყოფებოდა საბჭოთა სპეცსამსახურების კონტროლის ქვეშ. ამით კრემლს სურდა გაეკონტროლებინა ეს იდეაც და მთლიანად კავკასიაც.

ამას ადასტურებს პროფესორ თეიმურაზ გვანცელაძის მოგონება: 1991 წლის მარტში მე და ყაბარდო-ბალყარეთში ვიზიტით მყოფ საქართველოს უზენაესი საბჭოს დელეგაციის სხვა წევრებს (ბიმურზა აფრასიძე-დადეშქელიანს, ანზორ კუდბას, გიორგი გულბანს, იოსებ კასრაძეს, სოხუმელ დოცენტს ვახტანგ ჭანიას) „კონფედერაციის" ე.წ. პრეზიდენტმა მუსა (იური) შანიბოვმა დაგვიდასტურა, რომ იგი მოქმედებდა საბჭოთა კავშირისა და რუსეთის ხელმძღვანელობასთან შეთანხმებით (გვანცელაძე, 2019: 21).

საქართველოს და ჩეჩნეთის მიერ დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ გააქტიურება დაიწყო ერთიანი კავკასიის იდეამ. ამ პროცესების აქტიური მონაწილე იყო 1990-1991 წლების საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს პირველი მდივანი ბატონი მერაბ ჩუხუა. მან ჩვენთან ინტერვიუში მრავალი საინტერესო პასაჟი გაიხსენა: *ზვიად გამსახურდიას და ჯოხარ დუდაევის ურთიერთობა სწორედ ამ თემაზე აეწყო. ამასთანავე ჩეჩნეთი მაშინ ფიქრობდა დასავლეთის სამყაროში გასვლას საქართველოს გზით. ამ პროცესში მონაწილეობდა ყალმუხების ლიდერი კირსან ილუმჟინოვიც, რომელსაც სურდა ყალმუხეთის დამოუკიდებლობა. 1992-1993 წლების აზერბაიჯანის პრეზიდენტი აბულფაზ ელჩიბეი დიდი ინტერესით არ ეკიდებოდა ამ იდეას, თუმცა დელეგაციებს აგზავნიდა შეხვედრებზე. რაც შეეხება სომხეთს, იგი არ ერთვებოდა ამ პროცესში, რადგან ყარაბაღის პრობლემით იყო მოცული და აზერბაიჯანის მოწინააღმდეგის ბანაკებში ეძებდა თავს. რაც შეეხება დაღესტანს, ისიც იყო მოაზრებული ამ კონტექსტში. ზვიად გამსაუხურდიას ცნობილი ფორმულა ასე*

ჟღერდა: ***საქართველო აზროვნებდა ნიკოფსიიდან დარუბანდამდე.*** *სწორედ ეს არის ერთიანი კავკასია* (ჩუხუა, 2023).

კავკასიის პოლიტიკურ ცენტრად მოიაზრებოდა თბილისი. სსრკ-ს დაშლის პროცესში საქართველოს კავკასიური ორიენტაციის მქონე ხელმძღვანელი ჰყავდა. სწორედ ეს იყო იმის ერთ-ერთი მიზეზი, რომ კრემლმა ზვიად გამსახურდიას ხელისუფლებიდან ჩამოშორების ოპერაცია დაიწყო სსრკ-ს დაშლიდან რამდენიმე საათში. კერძოდ, ქალაქ ალმაატაში სსრკ-ს დაშლის გაფორმებისთანავე, 1991 წლის 21 დეკემბერს შეიქმნა ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების ახალი კავშირი, რომელსაც ,,დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობა“ (დსთ) დაერქვა. ოფიციალური მოსკოვი იმედოვნებდა, რომ ასე უფრო ადვილად შეძლებდა ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებზე, მათ შორის კავკასიის აწ უკვე ე. წ. სუვერენულ სახელმწიფოებზე კონტროლის შეენარჩუნებას.

საქართველომ დსთ-ში შესვლაზე უარი განაცხადა. სწორედ ამიტომ 22 დეკემბერს, გამთენიას რუსული სპეცსამსახურების დაფინანსებულმა ბანდ-ფორმირებებმა თბილისის პარლამენტის შენობაზე იერიში მიიტანეს. ამ მოვლენებთან დაკავშირებით, ამიერკავკასიის რუსული სამხედრო ოლქის იმ დროინდელი სარდლის მოვალეობის შემსრულებელი სუფიან ბეპაევი ერთ-ერთ ინტერვიუში არც მალავდა არც თავის პირად, არც რუსული ჯარის ქვედანაყოფის საპატიო წვლილს ეროვნული ხელისუფლების დამხობისა და ამბოხებულთათვის დახმარების აღმოჩენის საქმეში: *,,გამსახურდიას მომხრეებმა რუსთაველის პროსპექტიდან მთლიანად განდევნეს ოპოზიცია. კიტოვანი თამაშიდან გასვლასა და კორდონს მიღმა გაქცევას აპირებდა. ვითარება კრიტიკული იყო და რუსეთის ჯარის პატარა ქვედანაყოფის დახმარება რომ არა, პრეზიდენტის მოწინააღმდეგეები დამარცხდებოდნენ“* (შველიძე, 2021: 453).

ოფიციალური მოსკოვის მიერ ზვიად გამსახურდიას ხელისუფლების დამხობის და სათავეში ედუარდ შევარდნაძის მოყვანის შემდეგ ამ უკანასკნელის მიერ გააქტიურდა ანტიქართული და ანტიკავკასიური პოლიტიკა. დაიწყო კავკასიური იდეის ქომაგების დევნა. მაგალითად, როგორც, 1990-1991 წლების საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს პირველმა მდივანმა ბატონმა მერაბ ჩუხუამ ჩვენთან ინტერვიუში აღნიშნა 2003 წლამდე მასზე სისხლის სამართლის საქმე იყო აღძრული (ჩუხუა, 2023).

აფხაზეთის ომის პერიოდში, როგორც მოსალოდნელი იყო სახელი გაუტყდა „კავკასიის მთიელ ხალხთა კონფედერაციას.“ სხვა რომ არაფერი, კონფედერაციის სახელის შელახვისთვის საკმარისი იქნებოდა მისი ხელმძღვანელის იური შანიბოვის მიმართვა აფხაზებისადმი: *დახოცეთ და ნაკუწებად დაჭერით ქართველები. მოაჭერით ცხვირები* (საინფორმაციო-ანალიტიკური... 2020).

აფხაზეთის ომთან დაკავშირებით მეტად საინტერესოა ერთი პატარა ისტორია, რომელიც ჩვენთან ინტერვიუს დროს გაიხსენა ბატონმა მამუკა არეშიძემ: *1996 წელს ნალჩიკში ვხვდებოდით ყაბარდოელებს. ვკამათობდით აფხაზეთის ომის მიზეზებზე. შემოვიდა ჩერქეზთა დელეგაცია. ერთი მოხუცი ჩერქეზი ადგა ფეხზე და ტრადიციიდან გამომდინარე ჩვენც ავდექით. მან თქვა: თქვენ კავკასიაში უფროსი ძმები ხართ და ამ შეცდომის უფლება არ გქონდათო* (არეშიძე, 2023). ჩვენ ვერ დავეთანხმებით ამ ფორმულირებას, რადგან აფხაზეთში შეიარაღებული კონფლიქტი იყო რუსეთის სპეცსამსახურების დაწერილი სცენარის რეალიზება და აქ ქართველთა როლი უმნიშვნელოა.

აფხაზეთის კონფლიქტისა და კონფლიქტის-შემდგომი პერიოდის ადეკვატურ შეფასებაზე მკაფიო წარმოდგენას გვიქმნის მრავალი გარემოება, მათ შორის ჩეჩნეთის ხელისუფლების დამოკიდებულება ომთან მიმართებაში.

მაგალითად, 1992-1993 წლებში ზვიად გამსახურდიას საგანგებო რწმუნებულმა საქართველოში, ბატონმა მერაბ ჩუხუამ ჩვენთან ინტერვიუში გაიხსენა ერთი ამბავი: *აფხაზეთის ომი დაწყებულია. მაიორ ბასაევს დაწერილი აქვს პატაკი ჩეჩნეთის არმიიდან დათხოვნის შესახებ და გადაწყვეტილი აქვს აფხაზეთში ქართველთა წინააღმდეგ საომრად წასვლა. ამ დროს ჯოხარ დუდაევმა ბრძანება #35-ით ყველა ჩეჩენი გამოაცხადა მოღალატედ, ვინც კი აფხაზეთის ომში ქართველთა წინააღმდეგ წავიდოდა* (ჩუხუა, 2023).

რაც შეეხება ქართულ მხარეს, მიუხედავად იმისა, რომ აფხაზეთის ომის შემდეგ უმწვავესი სოციალური ფონი იყო დასადგურებული, საზოგადოებაში მაინც მოიძებნებოდნენ ადამიანები ვისაც არ ავიწყდებოდათ კავკასიური იდეა.

ამასთან დაკავშირებით საინტერესოა 1994 წელს საქართველოს ინტელიგენციის წარმომადგენლების (რ. მეტრეველი, მ. ლორთქიფანიძე, თ. გამყრელიძე, გ. ფაცაცია, ვ. შენგელია, ჯ. კვიციანი) მიმართვა ყაბარდო-ბალყარეთის კოლეგებისადმი. მასში ხაზგასმულია, რომ *,,კავკასიის ხალხებს შორის მრავალსაუკუნოვანი თანამშრომლობის ტრადიცია, გენეალოგიური ნათესაობა დღეს ჩვენ, კავკასიელებს, გვავალდებულებს წყენასა და გაბრაზებაზე მაღლა დავდგეთ და ხელი შევუწყოთ ქართულ-აფხაზური კონფლიქტის დარეგულირებას"* (კვიციანი, 2012: 63).

გარდა ამისა, იმავე, 1994 წელს მაშინდელი მინისტრთა საბჭოს დადგენილებით, „მხატვრული თარგმანისა და ლიტერატურულ ურთიერთობათა მთავარი სარედაქციო კოლეგიის" ბაზაზე შეიქმნა მისი უფლებამონაცვლე ორგანიზაცია საქართველოს კულტურულ ურთიერთობათა ცენტრი – „კავკასიური სახლი." 1999 წლის 4 ნოემბერს სახელმწიფო საბიუჯეტო ორგანიზაციის თანამშრომლების მიერ სახლის ბაზაზე დაფუძნდა საზოგადოებრივი ორგანიზაცია „კულტურულ ურთიერთობათა ცენტრი – კავკასიური სახლი," რომელიც უცხოელი პარტნიორების, დონორებისა და თანამოაზრეების დახმარებით ახორციელებს საგანმანათლებლო, სამშვიდობო, კვლევით და კულტურულ პროექტებს (კავკასიური... 2024).

ამასთანავე, 1996-1997 წლებში, საქართველოს პრეზიდენტთან ჩამოყალიბდა სათანადო კომისია ,,მშვიდობიანი კავკასიისათვის;" საქართველოს პარლამენტის წინადადებით და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის დადგენილებით შეიქმნა ,,კავკასიის ქვეყნებთან სამეცნიერო თანამშრომლობის კომისია" (თავმჯდომარე აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ბ-ნი ვახტანგ შამილაძე), რომელიც აქტიურად ჩაერთო საერთაშორისო მოძრაობაში - ,,მშვიდობიანი კავკასიისათვის." მისი საქმიანობა აისახა საქართველოს სახელმწიფო მიზნობრივ პროგრამაში. ,,კომისიამ" აღადგინა კონტაქტები სამხრეთ კავკასიის ქვეყნებისა და რუსეთის ფედერაციის მეცნიერებათა აკადემიის ჩრდილოეთ კავკასიის რესპუბლიკების სამეცნიერო ცენტრებთან და ინსტიტუტებთან (24 საათი... 2009, #18).

თუმცა ეს ყველაფერი უფრო მეტად კულტურულ-სამეცნიერო ურთიერთოები იყო და კავკასიური ერების სამხედრო-პოლიტიკურ ინტეგრაციასთან დიდი საერთო არ ჰქონია.

რაც შეეხება პოლიტიკურ ინტეგრაციას, აღსანიშნავია, რომ 1990-იანი წლების მეორე ნახევრიდან ამ მხრივ გადაიდგა მინიმალური ნაბიჯები: 1996 წლის 3 ივნისს ქ. კისლოვოდსკში აზერბაიჯანის, სომხეთის, საქართველოს და რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტებმა, ჩრდილო კავკასიის რესპუბლიკების, მხარეებისა და ოლქების წარმომადგენლებთან ერთად, ხელი მოაწერეს კავკასიაში ეროვნებთშორისო თანხმობის, მშვიდობის, ეკონომიკური და კულტურული თანამშრომლობის დეკლარაციას. მასში აღიარებულია, რომ კავკასია არის ,,ერთიანი, მთლიანი ორგანიზმი, გეოპოლიტიკური რეალობა" და რომ რეგიონში შექმნილი ხალხთა გაუცხოების, კონფლიქტების, პრობლემების გადაჭრის მიზნით, ხელი უნდა შეეწყოს

საუკუნეების მანძილზე არსებულ ტრადიციულ მეგობრობასა და თანამშრომლობას. ამისათვის, ნათქვამია დეკლარაციაში, კონფლიქტების დარეგულირების პარალელურად, აუცილებელი ხდება საერთო ეკონომიკური სივრცის შექმნის, სავაჭრო, ეკონომიკური, სამეცნიერო-ტექნიკური თანამშრომლობის განვითარება. საჭიროა ერთობლივი ტელეკომუნიკაციების, ტრანსპორტის, მშენებლობის, ენერგეტიკული, გარემოს, საინვესტიციო პროექტების განხორციელება და ა. შ. (კვიციანი, 2012: 64).

ჩვენი აზრით, ობიექტურობის გამო უნდა ითქვას, რომ ეს დეკლარაცია შექმნილი იყო რუსული სპეცსამსახურების ფრთებქვეშ. მასში არაფერი იყო ნათქვამი იმაზე, რომ ამ დროს კავკასიის რეგიონში იდგა რუსული საოკუპაციო ჯარები, ცოტა ხნის წინ ინგუშეთში განხორციელებული იყო გენოციდი, იმ მომენტისთვის გრძელდებოდა ომი ჩეჩნეთში და ა. შ. შესაბამისად ეს დოკუმენტი აჩრდილიც კი არ იყო იმ გეგმებისა, რაც კავკასიასთან მიმართებაში ჯოხარ დუდაევს და ზვიად გამსახურდიას ჰქონდათ.

ამ უკანასკნელთა გეგმების ერთგვარ რეალიზების მცდელობად შეიძლება მივიჩნიოთ შემდეგი ფაქტი: 1997 წლის 17 აგვისტოს გროზნოში ჩატარდა საერთაშორისო კონფერენცია, სადაც ესწრებოდნენ საქართველოს, სომხეთის, აზერბაიჯანის, ოსეთის, ინგუშეთის, ყაბარდო-ბალყარეთის, ყარაჩაი-ჩერქეზეთის, ადიღეს, დაღესტნის წარმომადგენლები. შეხვედრაზე შეიქმნა კავკასიის კონფედერაციის საზოგადოებრივ-პოლიტიკური კავშირი, რომლის თავმჯდომარედაც აირჩიეს ზელიმხან იანდარბიევი.

კავკასიის კონფედერაციის საზოგადოებრივ-პოლიტიკური კავშირის დამფუძნებელი ყრილობის რეზოლუცია საკმაოდ ავანტიურისტული იყო და შემდეგში მდგომარეობდა:

თანამედროვე მსოფლიოს პოლიტიკური და ეკონომიკური განვითარება, თუკი მას ურთიერთ-ხელსაყრელი თანამშრომლობის, სულიერი ურთიერთ-გამდიდრების, და თითოეული ეთნოსისათვის ღვთივბოძებული შესაძლებლობების რეალიზაციის, შინაგანი რესურსების განვითარების თვალსაზრისით განვიხილავთ, - თავის აუცილებელ პირობად გულისხმობს თითოეულ ხალხის თავისუფალ განვითარებას და ამ ხალხების ურთიერთქმედებას, მათი ეროვნული, სუვერენული, დამოუკიდებელი სახელმწიფოების მეშვეობით. იმპერიების და კოლონიების დრო წარსულს ჩაბარდა თუმცა, ბევრი ხალხი ახლაც კოლონიურად დამოკიდებული რჩება, ხოლო კოლონიური ხალხების ,,დეკოლონიზაციის" საერთაშორისო ,,პოლიტიკა," რომელიც დღეს გამოცხადებულია ,,ცივილიზებული," დემოკრატიული დასავლეთისა და მსოფლიო საზოგადოების მიერ და გაეროს მეთაურობით ძირითადად რჩება მხოლოდ სათამაშო კარტად მსოფლიო პოლიტიკოსთა ხელში, განსაკუთრებით - რუსეთთან კოლონიალურ დამოკიდებულებაში მყოფი ხალხების მიმართ.

ამასთან დაკავშირებით ერთ-ერთი ყველაზე სამარცხვინო ფაქტია ის, რომ კავკასია, საიდანაც ჰეგელის განსაზღვრებით იწყება მსოფლიო ისტორიის პროგრესი, ჯერ კიდევ რჩება ერთ-ერთი ყველაზე არაადამიანური, მდაბალი და ცბიერი რეჟიმის მონობაში, - მიუხედავად იმისა, რომ ცნება ,,კავკასიელი" საერთაშორისო საზოგადოებრიობის შეგნებაში, განა კი - მსოფლიო ისტორიაში ცოტათი მაინც ჩახედული საშუალო განათლების ადამიანის შეგნებაში დაკავშირებულია უმაღლეს ფასეულობებთან - თავისუფლებასთან, პატივსა და ღირსებასთან. ეს ხდება თვით კავკასიის ხალხების სისუსტის გამო, რაც მათი დავალებების, უპირველესად - მათი პოლიტიკური არაორგანიზებულობის შედეგია.

შეგნებული აქვს რა კავკასიის ხალხების პოლიტიკური ორგანიზაციისა და გაერთიანების სასიცოცხლო აუცილებლობა, მათი განთავისუფლებისა და ძირძველი კავკასიის ტერიტორიაზე დამოუკიდებელი მოძმე სახელმწიფოების კავშირის - კავკასიის

კონფედერაციის - შესაქმნელად, დამფუძნებელმა კრებამ, კავკასიის საზოგადოებრივ-პოლიტიკური ორგანიზაციებისა და ორგკომიტეტების დელეგატთა სახით დაადგინა:

1. შეიქმნას კავკასიის კონფედერაციის საზოგადოებრივ-პოლიტიკური კავშირი.

2. მოვუწოდებთ ყველა კავკასიელ ხალხებს და საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ძალებს გაერთიანდნენ და შეკავშირდნენ ერთადერთი ღირსეული, სადღეისოდ პრიორიტეტული და კავკასიის მომავლისათვის პერსპექტიული მიზნით - რუსეთის კოლონიალიზმისაგან კავკასიის გასათავისუფლებლად.

3. მოვუწოდებთ კავკასიის ხალხებს დაივიწყონ ისტორიული თუ თანამედროვე შუღლი და წყენა, შეიგნონ რომ ეს ყველაფერი წარმოიშვა სწორედ იმიტომ, რომ ჩვენ თავისუფალი არა ვართ და რუსეთის კოლონიალური პოლიტიკის გამო, რომელიც გვიპირისპირებს ერთმანეთს, რათა დაგვიმონოს. უნდა ვიწამოთ, რომ ნებისმიერი წინააღმდეგობა ჩვენ შეგვიძლია მოვაგვაროთ და ვალდებულნი ვართ მოვაგვაროთ მხოლოდ ჩვენი საერთო თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის პირობებში, რუსეთის ჩარევის ფაქტორის სრული გამორიცხვით.

4. ვინაიდან რუსეთ-ჩეჩნეთის ომში ჩეჩენი ხალხის გამარჯვება არის კავკასიელი ეროვნული განთავისუფლების მასტიმულირებელი ფაქტორი, მოვუწოდებთ კავკასიის ყველა ხალხს ჩეჩენთა რესპუბლიკის იჩქერიის დასაცავად და მის განსამტკიცებლად მსოფლიო თანამეგობრობის მიერ მისი დამოუკიდებლობის აღიარების გზით.

5. მოვუწოდებთ ჩეჩენ ხალხს არ მოადუნოს სიფხიზლე და კიდევ უფრო შეკავშირდეს თავის ბრძოლაში, რომელიც დამოუკიდებლობისათვის საერთო კავკასიური ბრძოლის ნაწილია.

6. მოვუწოდებთ ჩეჩენთა რესპუბლიკა იჩქერიის ხელმძღვანელობას უკომპრომისო და მტკიცე პოზიციისაკენ რუსეთთან ურთიერთობაში, რადგანაც ნებისმიერი დათმობა ან მცირეოდენი გადახვევაც კი ჯიჰადში მოპოვებული პოზიციიდან გულსატკენია და შეურაცხყოფს კავკასიელის პატივსა და ღირსებას, ამასთანავე, ქმნის ახალ სიძნელეებს კავკასიის დამოუკიდებლობის გზაზე.

7. მოვითხოვთ რუსეთის ხელმძღვანელობისაგან მთლიანად და წინასწარი პირობების გარეშე გაიყვანოს თავისი ჯარები კავკასიის ტერიტორიიდან.

8. მოვითხოვთ რფ ხელმძღვანელობისგან დაუყოვნებლივ გადმოგვცეს სამხედრო დამნაშავეები, რომლებმაც გააჩაღეს სისხლისღვრა კავკასიაში და დახოცეს ადამიანები ყარაბაღში, თბილისში, ბაქოში, ინგუშეთში და იჩქერიაში.

9. მოვუწოდებთ ჩრი-ს (ჩეჩნეთის რესპუბლიკა იჩქერია) ხელმძღვანელობას, გაგრძელდეს ჯოხარ დუდაევის დროს დაწყებული სამხედრო ტრიბუნალი რუს სამხედრო დამნაშავეებზე, ბოლომდე იქნეს მიყვანილი რუსეთის იმპერიის საშინელი და უპრეცედენტო დანაშაულის - ჩეჩენთა რესპუბლიკა იჩქერიის პირველი პრეზიდენტისა და კავკასიის ეროვნულ-განმანთავისუფლებელი ბრძოლის ლიდერის, ჯოხარ დუდაევის 1996 წლის 22 აპრილის მკვლელობის გამოძიება.

10. მოვითხოვთ რფ-ის ხელმძღვანელობისაგან დაუყოვნებლივ აღიაროს ჩეჩენთა რესპუბლიკა იჩქერიის დამოუკიდებლობა და კავკასიის კონფედერაციის საზოგადოებრივ-პოლიტიკური კავშირის სრულუფლებიან წარმომადგენლებთან დაიწყოს მოლაპარაკება კავკასიის დეკოლონიზაციისა და მისი დამოუკიდებლობის აღდგენის თაობაზე.

11. მოვითხოვთ რფ-ის ხელმძღვანელობისაგან უპირობოდ აღიაროს და გადაუხადოს ჩრი-ს 1994-1996 წლების ომით მიყენებული ზარალი.

12. მოვითხოვთ რფ-ის ხელმძღვანელობისაგან აღიაროს და გადაუხადოს კავკასიის ხალხებს კომპენსაცია საუკუნოვანი გენოციდის, მატერიალური სიმდიდრის დატაცებისა და მატერიალური და სულიერი კულტურის განადგურებისათვის.

13. მივმართავთ მსოფლიო თანამეგობრობას თხოვნით აღმოუჩინონ კავკასიის ხალხებს პოლიტიკური, ეკონომიური და სამხედრო დახმარება რუსეთის კოლონიალური უღლისაგან განთავისუფლებისათვის ბრძოლაში.

საერთაშორისო მშვიდობისა და სტაბილურობისათვის რუსეთის სახელმწიფოებრიობის სახიფათო ხასიათიდან გამომდინარე, მოვუწოდებთ მსოფლიო თანამეგობრობას რუსეთის ფედერაციის საერთაშორისო იზოლაციისაკენ.

14. აღიარებულ იქნეს, რომ კავკასიის სახელმწიფოების - საქართველო, აზერბაიჯანისა და სომხეთის პოლიტიკა რუსეთთან ურთიერთობაში არის გზასაცდენილი და მას პოლიტიკური, ეკონომიკური და მორალური ზიანი მოაქვს კავკასიისთვის და საკუთარი ხალხებისათვის, ვაცხადებთ, რომ ოსეთის, ინგუშეთის, ყაბარდო-ბალყარეთის, ყარაჩაი-ჩერქეზეთის, ადიღეისა და დაღესტნის მარიონეტულ ადმინისტრაციებს არ აქვთ არც მორალური, არც იურიდიული უფლება წარმოადგენდნენ ამ ხალხებს, აქედან გამომდინარე ყველა შედეგით, ვგმობთ როგორც ანტიკავკასიურს, აფხაზეთის ხელმძღვანელის ვლადისლავ არძინბას პრორუსულ პოლიტიკას.

15. ვღებულობთ ყრილობის მიმართვას კავკასიის ხალხებისადმი, ჩრი-სადმი, ჩრი-ს ხელმძღვანელობისადმი, კავკასიის საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობებისა და პარტიებისადმი.

16. ვაცხადებთ, რომ იწყება ახალი და გადამწყვეტი ეტაპი კავკასიის დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში თავისუფალი და ერთიანი კავკასიისათვის! (საქართველო...1997, #93(1603).

როგორც ვხედავთ რეზოლუცია საკმაოდ საინტერესო, მაგრამ ამავე დროს ძალზედ ხმამაღალია. იმ დროს ფაქტიურად წარმოუდგენელი იყო, რომ რუსეთს ჩეჩნებისთვის ან კავკასიის კონფედერაციისთვის გადაეცა სამხედრო დამნაშავეები, კავკასიიდან გაეყვანა ჯარები და სხვ. თუმცა, ის, რომ ჩეჩნეთის ომში გამარჯვების შემდეგ შეიქმნა კავკასიელი ერების კონფედერაცია ეს ბუნებრივი და კანონზომიერი იყო. კავკასიელ ერებს აქვთ ურთიერთ-კონსოლიდაციის ბუნებრივი მისწრაფება და პოსტ-საბჭოთა პერიოდში პირველი და ჯერ-ჯერობით ყველაზე დიდი გამარჯვების შემდეგ (ჩეჩნეთის პირველი ომი) ასეთი ორგანიზაციის შექმნა ლოგიკურია.

ნიშანდობლივია, რომ რეზოლუციის მე-14 მუხლში კავკასიის პატრიოტები „გზასაცდენილად“ და კავკასიის ინტერესებისათვის ზიანის მომტანად აცხდებდნენ საქართველოს ხელისუფლების მაშინდელ პოლიტიკას. საქმე იმაშია, რომ მაშინ საქართველოს მართავდა საბჭოთა სახელმწიფოს უშიშროების კომიტეტის გამოზრდილი კადრი, რომლის პოლიტიკაც ანტიქართული იყო და რა გასაკვირია, რომ ანტიკავკასიურიც ყოფილიყო. გასაკვირი ის იქნებოდა, პირიქით რომ ყოფილიყო.

საგულისხმოა, რომ გროზნოს დეკლარაციის მიღებამდე რამდენიმე ხნით ადრე, ინგუშმა საზოგადო მოღვაწემ ისა კოძაევმა საინტერესო მოწოდება გააჟღერა კონსოლიდაციის შესახებ. ერთ-ერთ ინტერვიუში მან აღნიშნა:

,,მე ადრე სულ ვამბობდი, რომ უნდა შეიქმნას კავკასიელ ხალხთა კონფედერაცია. ახლა კონფედერაციაც აღარ მინდა. ერთი, ძლიერი, მონოლითური სახელმწიფო უნდა შევქმნათ. რაც გინდა ერქვას ამ სახელმწიფოს, გნებავთ საქართველო, გნებავთ კავკასია. დავით აღმაშენებლის დროს ჩვენ საქართველოს შემადგენლობაში შევდიოდით და შესანიშნავად ვგრძნობდით თავს. მე დარწმუნებული ვარ, რომ ამ სახელმწიფოს შიგნით არ იქნება ტერიტორიული

პრეტენზიები, სერიოზული დავა, შფოთი კინკლაობა (თავისუფალი საქართველო... 1994, #4). როგორც მოსალოდნელი იყო საქართველოს ხელისუფლებაში მყოფ ედუარდ შევარდნაძის გუნდს მაშინ ამ განცხადებაზე არანაირი რეაგირება არ დაუფიქსირებია.

ჩრდილოეთ კავკასიიდან ასეთი მოწოდებები ზვიად გამსახურდიას ხელისუფლების დროს რომ გაკეთებულიყო საქართველოს მმართველი რგოლი უდიდესი აღტკინებით შეხვდებოდა ამ მოწოდებას. ედუარდ შევარდნაძის რეჟიმის პირობებში კი საქართველოს ხელისუფლების მხრიდან არანაირი შემხვედრი ნაბიჯები არ მოჰყოლია ინგუშების და ჩეჩნების მოწოდებებს, მიუხედავად იმისა, რომ გროზნოში 1997 წლის კონფერენციაზე ქართული პოლიტიკური სპექტრიც იყო წარმოდგენილი.

შევარდნაძის შექმნილი ანტიქართული და ანტიკავკასიური რეჟიმის პირობებში კავკასიური იდეის პატრიოტების გავლენა ქართულ საზოგადოებაზე იყო კატასტროფულად მინიმალური. მათი მიმართვები, განცხადებები, პრეს-კონფერენციები თითქმის აღარავის აინტერესებდა. მათი აქტივობა თითქმის უშედეგო იყო. მოვიყვანთ ამის რამდენიმე მაგალითს:

1997 წლის სექტემბერში სრულიად საქართველოს წმინდა ილია მართლის საზოგადოებამ გამართა პრეს-კონფერენცია. ამის შესახებ პატარა სტატია დაიბეჭდა გაზეთ ,,საქართველოს“ #93 (1603)-ში. სტატიაში ვკითხულობთ: *სრულიად საქართველოს წმინდა ილია მართლის საზოგადოება გუშინდელ პრეს-კომფერენციაზე კვლავაც გამოვიდა მოთხოვნით - დღევანდელმა ხელისუფლებამ აღიაროს 1991-92 წლების სახელმწიფო გადატრიალება, როგორც საქართველოს შემდგომი ოკუპაცია-ანექსიისაკენ მიმართული აქტი. საზოგადოების წევრთა აზრით, ფაქტობრივმა ხელისუფლებამ პასუხი უნდა აგოს 1992 წლის შემდეგ მომხდარ ყველა დანაშაულზე. ... საზოგადოებამ მიმართვა გაუგზავნა მსოფლიო ქვეყნების პარლამენტებს - დაუყოვნებლივ აღიარონ ჩეჩნეთის რესპუბლიკა იჩქერიის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა. წინააღდმდეგ შემთხვევაში, პრეს-კონფერენციის ორგანიზატორთა პროგნოზით, შესაძლოა მთელი კავკასია ომის ცეცხლში გაეხვიოს “* (საქართველო...1997, #93(1603).

ნათელია, რომ ასეთი პრეს-კონფერენციებით, სადაც რამდენიმე ათეული ადამიანი ღებულობდა მონაწილეობას და ასეთი პატარა სტატიებით, რომელსაც რამდენიმე ასეული ადამიანი კითხულობდა, კავკასიური იდეის პოპულარიზება ვერანაირად ვერ მოხდებოდა. მითუმეტეს მაშინ, სატელევიზიო სივრცე ფაქტიურად დახურული იყო კავკასიური იდეის პატრიოტებისთვის.

გარდა ამისა, აღნიშვნის ღირსია რამდენიმე პოლიტიკური პარტია, რომელთაც პროგრამებში აღნიშნული ჰქონდათ შემდეგი საგარეო ორიენტაციები:

საქართველოს სოციალისტური პარტია: *მეზობელ სახელმწიფოებთან ურთიერთობა, ევროსტრუქტურებში გაერთიანება, კავკასიური ინტეგრაცია* (ჯავახიშვილი, 1998: 21). პოლიტიკური გაერთიანება - კონსტანტინე გამსახურდიას საზოგადოება: *კავკასიის სახელმწიფოთა ეკონომიკური რეგიონი ამ სახელმწიფოთა მჭიდრო და ურთიერთსასარგებლო კავშირისათვის* (ჯავახიშვილი, 1998: 53). სამართლიანობის აღდგენის კავშრი - ,,ხმა ერისა:“ *ერთიანი კავკასიური სახლის ჩამოყალიბება* (ჯავახიშვილი, 1998: 61). საქართველოს ეკონომისტთა კავშირი: *დაბალანსებული სამთავრობო ერთიანი კავკასიური სახლის იდეის პროპაგანდა, მეზობლებთან თანასწორუფლებიანი პარტნიორულ პოლიტიკა* (ჯავახიშვილი, 1998: 73). საქართველოს თავისუფლებისა და ერთიანობის მოძრაობა ,,ჭყონდიდელი:“ *კავკასიურ სახლთან ერთად დასავლეთის სტრუქტურებში გაერთიანება* (ჯავახიშვილი, 1998: 80). საქართველოს მთიელთა კავშირი: *იბერიულ-კავკასიური პოლიტიკური ორიენტაცია* (ჯავახიშვილი, 1998: 88). საქართველოს ქრისტიან-კონსერვატიული პარტია: *მჭიდრო*

ურთიერთობა დასავლეთთან, მუშაობის გააქტიურება კავკასიის სახლის ევროკავშირის მსგავს გაერთიანებად ჩამოყალიბებისათვის (ჯავახიშვილი, 1998: 112). საქართველოს ჰელსინკის კავშირი - ეროვნული აღორძინება: *დასავლეთზე ორიენტირებული კავკასიური სახლი* (ჯავახიშვილი, 1998: 115). ქართველ ნაციონალისტთა ერთობა: *ერთიანი კავკასიური რეგიონის ჩამოყალიბება (კონფედერაციული ერთიანი სახელმწიფო), კონტინენტური ორიენტაციის პრიორიტეტი* (ჯავახიშვილი, 1998: 119). საქართველოს ქრისტიანულ-დემოკრატიულ კავშირი: *ევროატლანტიკურ სივრცეში ინტეგრირება, შავი ზღვის აუზის ქვეყნებს შორის ალიანსის ფორმირება, კავკასიური ინიციატივები* (გურგენიძე, 2003: 238).

აღსანიშნავია, რომ საქართველოს მოქალაქეთა კავშირსაც ეწერა საპროგრამო პრიორიტეტებში *კავკასიის და შავ ზღვის აუზის ქვეყნებთან რეგიონული თანამშრომლობის ყოველმხრივი განვითარება* (გურგენიძე, 2003: 198). თუმცა რეალურად ედუარდ შევარდნაძის პარტიას ჯოხარ დუდაევის და ზვიად გამსახურდიას იდეებთან ბევრი არაფერი ჰქონია საერთო.

ედუარდ შევარდნაძის გუნდი კავკასიელ მეზობლებთან შემოიფარგლებოდა მხოლოდ კულტურული და ეკონომიკური ინტეგრაციით. ამ მხრივ, მნიშნელოვანი ნაბიჯი იყო ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის პროექტი. ყველაფერი დაიწყო იმით, რომ 1998 წელს ანკარაში აზერბაიჯანის, საქართველოს, ყაზახეთის, თურქეთის და უზბეკეთის პრეზიდენტებმა - ალიევმა, შევარდნაძემ, ნაზარბაევმა, დემირელმა და ქარიმოვმა ამერიკის შეერთებული შტატების ენერგეტიკის მინისტრის ბილ რიჩარდსონის თანდასწრებით ხელი მოაწერეს დოკუმენტს, რომლის ფარგლებშიც განხორციელება დაიწყო ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის პროექტმა. ნავთობსადენის მშენებლობას სათავე დაედო 2002 წელს, როცა ალიევმა, შევარდნაძემ და სეზერმა მილის ფუნდამენტში ქვები ჩაყარეს. ექსპერტმა კავასიის საკითხებში ბატონმა მამუკა არეშიძემ ჩვენთან ინტერვიუში ასეთი რამ განაცხადა: *ამ პროექტმა რუსეთი გააღიზიანა. მაშინ ეს იყო სილის გარტყმა რუსეთისთვის. ამით გაიზარდა კავკასიის დაცვის ხარისხი* (არეშიძე, 2023).

კავკასიური კონსოლიდაციის თვალსაზრისით კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მოვლენა იყო 2006 წელს საქართველოს პარლამენტის მიერ ჩეჩნეთის დამოუკიდებლობის აღიარება. მართალია, ამ დროს იჩქერიის სახელმწიფო უკვე ოკუპირებული იყო, თუმცა თავად ეს ფაქტი საინტერესო ნაბიჯად შეიძლება ჩავთვალოთ ქართულ-ჩეჩნური ინტეგრაციის კუთხით.

საგულისხმოა, რომ ,,აგვისტოს ომის" დაწყებამდე რამდენიმე დღით ადრე, 2008 წლის ივლისში პოლიტიკურმა პარტიამ ,,ჩვენი ქვეყანა" გამართა მრავალეთნიკური კონფერენცია. ღონისძიებას დაესწრნენ ჩრდილოეთ კავკასიის ხალხთა წარმომადგენლები: ჩეჩნები, ინგუშები, ოსები, აფხაზები, მოწვეულნი იყვნენ აფხაზეთის დიასპორის წარმომადგენლები თურქეთიდან, მაგრამ ისინი ღონისძიებას ვერ დაესწრნენ იმის გამო, რომ საზღვარზე არ გამოუშვეს.

ყრილობამ გადაწყვიტა, დაეწყო საორგანიზაციო მუშაობა კავკასიის ხალხთა კონგრესის შექმნის შესახებ. როგორც პარტიის ლიდერი თამაზ ღუღუნიშვილი აცხადებდა, კონგრესი აპირებდა მიემართა გაეროსთვის, რათა კავკასიაში კონფლიქტების დარეგულირების საკითხზე გამართულ კონფერენციებზე მისი წარმომადგენელიც ყოფილიყო მიწვეული.

ეს იქნება ისეთი პიროვნება, რომელიც საერთაშორისო ორგანიზაციებს სრულყოფილ ინფორმაციას მიაწვდის კონფლიქტურ რეგიონებში არსებული სიტუაციის შესახებ. დღეს კი საიტებზე სეპარატისტების მიერ შეთითხნილი ინფორმაციები ვრცელდება, - აცხადებდა მაშინ ღუღუნიშვილი (ახალი თაობა... 2008 #203 (4583)

ობიექტურობის გამო უნდა ითქვას, რომ არც ღუღუნიშილს, არც მის პარტიას და ზოგადად მსგავსი ორიენტაციის ჯგუფებს არანაირი გავლენა არ ჰქონია ქართულ საზოგადოებაზე. ზემოთ აღწერილმა ყველა აქტივობამ არაერთი ლამაზი ფურცელი ჩაწერა ერთიანი კავკასიის იდეის ისტორიაში. თუმცა, გარე ძალების მიერ კავკასიაში ხელონურად შექმნილმა არახელსაყრელმა ოპერატიულმა გარემომ და ზოგადად საერთაშორისო ვითარებამ გამსახურდია-დუდაევისეული ერთიანი კავკასიის იდეის სრული განხორციელება შეუძლებელი გახადა აფხაზეთის ომის შემდეგ.

დასკვნები. ამგვარად, 1991 წლის 21 დეკემბერს, როცა საბჭოთა კავშირის დაშლა ოფიციალურად გაფორმდა, კავკასიაში ასეთი პოლიტიკური სურათი გვაქვს: საქართველოს, სომხეთს, აზერბაიჯანს და ჩეჩნეთს დამოუკიდებლობა აქვს გამოცხადებული. დღითი დღე იზრდება ანტირუსული განწყობილება კავკასიის სხვა დაპყრობილ ერებშიც. დღის წესრიგში დგას ერთიანი კავკასიის იდეის განხორციელება. ამ დროს ოფიციალური მოსკოვის წინაშე უპირობო ამოცანას წარმოადგენს კავკასიელი ერების ერთმანეთზე გადაკიდება, ამით მათში ურთიერთ-კონსოლიდაციის პროცესის შეჩერება და ერთიანობის იდეის დასამარება. აფხაზეთის ომმა გარკვეული ბზარები მართლაც გააჩინა კავკასიელი ხალხების ურთიერთობებში. თუმცა, როგორც ჩვენს მიერ წარმოებულმა კვლევამ აჩვენა ომის შემდეგ კავკასიელთა ცნობიერებაში, განსაკუთრებით კი ქართულ და ჩეჩნურ საზოგადოებებში სრულყოფილად არ ჩამკვდარა ეს იდეა. ამის მტკიცებულებაა ყაბარდო-ბალყარეთის კოლეგებისადმი საქართველოს ინტელიგენციის წარმომადგენლების მიმართვა კონსოლიდაციის საჭიროების შესახებ, საქართველოში კომისიის ,,მშვიდობიანი კავკასიისათვის“ ჩამოყალიბება, კისლოვოდსკის დეკლარაციის ხელმოწერა კავკასიური სუვერენული სახელმწიფოების მიერ, გროზნოში საერთოკავკასიურ კონფერენციის ორგანიზება და იქ კავკასიელი ერების წარმომადგენლების, მათ შორის ქართული დელეგაციის მიერ კონფედერაციის შექმნაზე ხელმოწერა, თბილისში „კულტურულ ურთიერთობათა ცენტრ – კავკასიური სახლის“ დაარსება, ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის პროექტის განხორციელება, რამდენიმე ქართული პოლიტიკური პარტიის პროგრამაში განცხადებული კავკასიის ერთიანობისკენ მისწრაფება და სხვა. ერთი სიტყვით, მართალია აფხაზეთის ომის შემდეგ გამსახურდია-დუდაევისეული ერთიანი კავკასიის პროექტის სრული განხორციელება შეუძლებელი იყო, თუმცა ეს იდეა აგრძელებდა არსებობას ქართულ საზოგადოებაში და მას გამოხმაურება ჰქონდა კავკასიის სხვა ხალხებშიც, განსაკუთრებით კი ჩეჩნებსა და ინგუშებში.

გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა:

გვანცელაძე, თ. (2019). პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას კავკასიური პოლიტიკა აფხაზურ-ქართულ და ოსურ-ქართულ ურთიერთობათა კონტექსტში. *ქართველოლოგიის აქტუალური პრობლემები.* VIII. გვ. 20-27.

კვიციანი, ჯ. (2012). *კავკასია და კავკასიელები.* თბილისი: გამომცემლობა ,,უნივერსალი“.

საქართველოს პოლიტიკური პარტიები. (1998). რედაქტორი პ. ჯავახიშვილი. თბილისი.

საქართველოს პოლიტიკური პარტიები. (2003). რედაქტორთა ჯგუფის ხელმძღვანელი ნ. გურგენიძე. თბილისი.

შველიძე, დ. (2008). *პოლიტიკური დაპირისპირებები და ეროვნული ხელისუფლების დამხობა საქართველოში (1987-1992 წ.წ.).* თბილისი: გამომცემლობა „უნივერსალი“.

არეშიძე, მ. (2023). ინტერვიუ ჩაწერილია სტატიის ავტორის მიერ. ინტერვიუს ჩაწერის ადგილი და დრო: კაფე ,,ყავის ლაბორატორია,“ თბილისი. 24.11.2023.

ჩუხუა, მ. (2023). ინტერვიუ ჩაწერილია სტატიის ავტორის მიერ. ინტერვიუს ჩაწერის ადგილი და დრო: ჩერქეზული კულტურის ცენტრი, თბილისი. 26.10.2023.

გაზეთი ,,ახალი თაობა.“ (2008). #203 (4583), თბილისი.

გაზეთი ,,თავისუფალი საქართველო.“ (1994) #4, თბილისი.

გაზეთი „საქართველო.“ (1997). #93 (1603), თბილისი.

გაზეთი ,,24 საათი.“ (2009). #18, თბილისი.

საინფორმაციო-ანალიტიკური პორტალი alia.ge, (2020). *როგორ დაიტირეს აფხაზებმა ქართველების დაუძინებელი მტერი მუსა შანიბოვი.*https://www.alia.ge/rogor-daitires-aphkhazebm/ (წვდომის თარიღი 10.02.2024).

კავკასიური სახლი, (2024). *ისტორია და მისია.* https://caucasianhouse.ge/about/istoria/ (წვდომის თარიღი 10.02.2024).

REFERENCES

gvantseladze, t. (2019). p'rezident' zviad gamsakhurdias k'avk'asiuri p'olit'ik'a apkhazur-kartul da osur-kartul urtiertobata k'ont'ekst'shi. kartvelologiis akt'ualuri p'roblemebi [Caucasian policy of President Zviad Gamsakhurdia in the context of Abkhazian-Georgian and Ossetian-Georgian relations. *Actual problems of Kartevology*]. VIII. pp. 20-27.

k'vitsiani, j. (2012). *k'avk'asia da k'avk'asielebi [Caucasus and Caucasians].* Tbilisi:,,Universali“.

sakartvelos p'olit'ik'uri p'art'iebi [political parties of Georgia]. (1998). redakt'ori p'. javakhishvili [editor P. Javakhishvili]. Tbilisi.

sakartvelos p'olit'ik'uri p'art'iebi. [political parties of Georgia]. (2003). redakt'orta jgupis khelmdzghvaneli n. gurgenidze [Editor N. Gurgenidze]. Tbilisi.

shvelidze, d. (2008). *p'olit'ik'uri dap'irisp'irebebi da erovnuli khelisuplebis damkhoba sakartveloshi (1987-1992 ts'.ts'.) [Political confrontations and the overthrow of the national government in Georgia (1987-1992)].* Tbilisi: publishing house ,,Universali“.

areshidze, m. (2023). int'erviu chats'erilia st'at'iis avt'oris mier. int'ervius chats'eris adgili da dro: k'ape ,,qavis laborat'oria [The interview was recorded by the author of the article. Place and time of recording the interview: Cafe ,,Coffee Lab,“]. Tbilisi. 24.11.2023.

chukhua, m. (2023). int'erviu chats'erilia st'at'iis avt'oris mier. int'ervius chats'eris adgili da dro: cherkezuli k'ult'uris tsent'ri [The interview was recorded by the author of the article. Place and time of recording the interview: Circassian Culture Center] Tbilisi. 26.10.2023.

gazeti ,,akhali taoba“ [,,Akhali taoba“]. (2008). #203 (4583), Tbilisi.

gazeti ,,tavisupali sakartvelo“ [,,Tavisupali Saqartvelo“]. (1994) #4, Tbilisi.

gazeti „sakartvelo“ [,,Saqartvelo“]. (1997). #93 (1603), Tbilisi.
gazeti ,,24 saati“ [,,24 Saati“]. (2009). #18, Tbilisi.
sainpormatsio-analit'ik'uri p'ort'ali alia.ge. (2020). rogor dait'ires apkhazebma kartvelebis daudzinebeli mt'eri musa shanibovi [How Abkhazians mourned the bitter enemy of Georgians, Musa Shanibov]. ts'vdomis tarighi 10.02.2024 [Information has been retrieved 10.02.2024.] https://www.alia.ge/rogor-daitires-aphkhazebm/
k'avk'asiuri sakhli. (2024). ist'oria da misia [History and mission]. ts'vdomis tarighi 10.02.2024. [Information has been retrieved 10.02.2024.] https://caucasianhouse.ge/about/istoria/